ძნელი გამარჯვება

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 3 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ქაირათი” (ალმა–ათა) 1:0 (0:0).

“დინამო”: გაბელია, პაიკიძე, ჩივაძე, ხიზანაშვილი, ანდღულაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე (კაკილაშვილი), ჯოხაძე (მესხი), ცავა, შენგელია.

“ქაირათი”: უბიკინი, შადაევი, ობედკოვი, კუკლევი, ევდოკიმოვი, კონკოვი, ბერდიევი, გლადილინი, სტუკაშოვი, სალიმოვი (ლედოვსკიხი), ფეხლევანიდი.

მსაჯი: ი. სავჩენკო (მოსკოვი).

გააფრთხილეს კონკოვი.

ახლა, როცა საკავშირო პირველობის დამთავრებამდე ბევრი აღარ დარჩა, ახლოვდება ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო, გადამწყვეტი მატჩები, თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა წინაშე სულ უფრო გარკვევით ისახება კონკრეტული ამოცანა – დაიკავოს ადგილი პირველ სამეულში. საამისოდ კი საჭიროა ენერგიისა და ნებისყოფის სრული დაძაბვა, ვინაიდან თავი რომ დავანებოთ ძლიერ გუნდებთან დარჩენილ შეხვედრებს, ისეთი აუტსაიდერებიც კი, როგორიცაა “ქაირათი”, იბრძვიან ძალების უკიდურესი მობილიზებით, თავგამოდებით. თბილისელებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ ალმა-ათელებთან, გამარჯვებას კი მიაღწიეს მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ, ისიც მინიმალური ანგარიშით.

ამ დღეს საკუთარი გამარჯვების გარდა დინამოელებს იმაზეც უნდა ეფიქრათ, რომა არ დაეთმოთ რამე “ქაირათისთვის” – ეს გუნდი ხომ ქუთაისის “ტორპედოს” კონკურენტია უმაღლესი ლიგის რიგებში. თბილისელებს იმაზე ზრუნვაც მართებთ, რომ შეუმცირონ შანსები ტორპედოელთა მეტოქეებს.

მატჩი, განსაკუთრებით მისი პირველი ნახევარი, საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ტერიტორიული უპირატესობა, უდავოდ, დინამოელების მხარეს იყო, მაგრამ ხანგრძლივი იერიშების დროსაც კი ნაკლებად ჩანდა გამიზნული, ასე ვთქვათ, “დაგეგმილი”, კომბინაციები, მასპინძლები იშვიათად თუ გადიოდნენ სახიფათო პოზიციაში, შორიდან დარტყმულ ბურთებს კი სიზუსტე აკლდა, ან მათ სტუმრების მეკარე უბიკინი იგერიებდა.

ანგარიშის გახსნის ნაღდი შესაძლებლობა თბილისელებს მიეცათ ტაიმის ბოლო, 45–ე წუთზე, როცა ობედკოვმა თავის საჯარიმო მოედანზე უხეშად წააქცია კაკილაშვილი, რისთვისაც მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. მაგრამ შენგელიამ არაზუსტად დაარტყა და საგრძნობლად ააცილა კარს ბურთი.

შესვენების შემდეგ დინამოელთა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდა, ამ პერიოდში ჩვენმა გუნდმა ითამაშა გაცილებით უფრო მოფიქრებულად, კომბინაციურად, მეტი სახიფათო მომენტიც შექმნა, თუმცა მათგან შეძლო მხოლოდ ერთის რეალიზება. ეს მოხდა მე–60 წუთზე, როცა ცავამ ზუსტი გადაცემით კარის წინ გაიყვანა შენგელია და ამ უკანასკნელმა დაუყოვნებლივ გამოიყენა შექმნილი სიტუაცია – 1:0. რამდენიმე წუთის შემდეგ გამეორდა მსგავსი კომბინაცია, ოღონდ ამჯერად შენგელიამ გადააწოდა ბურთი ცავას, საბოლოოდ კი იმარჯვა სტუმართა მეკარემ.

მატჩის დამთავრებამდე მასპინძლებს კიდევ ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ ვერ შეძლეს მათი გამოყენება.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 5 ოქტომბერი, 1982 წ.